უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№9 (40) 2014

ახალი სასწავლო წელი და კვლავ მაღალრეიტინგული სტუდენტები - თსუ-ში

ახალი სასწავლო წელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ტრადიციული მისალმებით დაიწყო – სტუდენტებს სწავლის დაწყება თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ გიორგი შარვაშიძემ, ფაკულტეტების დეკანებმა მიულოცეს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად თსუ-ში 4000-მდე პირველკურსელი ისწავლის. თსუ 6 ფაკულტეტზე 20 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. მათ შორის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული აფხაზურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სტუდენტები. 2014/15 სასწავლო წელს ყველაზე დიდი რაოდენობის 100% გრანტის მფლო-

გაგრძელება მე-3 გვ.

„ანტიკური კულტურისა და მისი მემკვიდრეობის აქტუალური პრობლემები“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის და თსუ-ს ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია **„ანტიკური კულტურისა და მისი მემკვიდრეობის აქტუალური პრობლემები“** გაიხსნა. ღონისძიებას თსუ რექტორის მოადგილე, აკადემიკოსი **ლევან ალექსიძე,** განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **გიორგი შარვაშიძე,** ქართველი და უცხოელი მეცნიერები, სტუდენტები დაესწრნენ.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი.**

გაგრძელება მე-4 გვ.

რექტორის ანგარიში - საგოგადოებას

ერთი წლის მუშაობის ანგარიში ჩააბარა საზოგადოებას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

პრესკონფერენციაზე თსუ რექტორმა უნივერსიტეტში გატარებულ იმ ღონისძიებებზე ისაუბრა, რომელიც ხელს უწყობს სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას; თავის ანგარიშში რექტორმა ყურადღება გაამახვილა გატარებულ სტრუქტურულ ცვლილებებზე და ახალ ინიციატივებზე, რომელთა შორის შემდეგი სიახლეები გამოყო:

ერთი წლის განმავლობაში თსუ-ში 15 ახალი საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნა; ჩამოყალიბდა პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტი 12 საკონკურსო ადგილისთვის;

ქართველოლოგიაში დაწესდა ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო პრემია;

წელს პირველად გამოვლინდნენ ფაკულტეტებიდან წლის საუკეთესო პედაგოგები და რექტორის სტიპენდიატი სტუდენტი;

მოხერხდა აკადემიური რეგისტრაციის პრობლემის მოგვარება, შეიქმნა სასწავლო პროცესის მართვის გაუმჯობესებული ელექტრონული ბაზა;

გაგრძელება მე-2 გვ.

თსუ მთავრობის პასუხს ელოდება

გვ. 4

მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა გამოშვება

გვ. 2

უნივერსიტეტის წლის პედაგოგები

წლეულს პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუკეთესო პედაგოგის გამოსავლენად სტუდენტებს შორის გამოკითხვა ჩატარდა. გამოკითხვის შედეგად, 2013-2014 სასწავლო წლის საუკეთესო პედაგოგებად დასახელდნენ: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - ასისტენტ-პროფესორი ზაზა ხეჩინაშვილი; იურიდიული ფაკულტეტი - მოწვეული პედაგოგი ზურაბ ძლიერიშვილი; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - ასისტენტ-პროფესორი გიორგი დვალაშვილი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - ასოცირებული პროფესორი მანანა მელიქიშვილი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი- ასოცირებული პროფესორი ივანე წერეთელი; მედიცინის ფაკულტეტი - პროფესორი ნანა დორეული; ტურიზმის საერთაშორისო სკოლა - მოწვეული პედაგოგი თინა დოლიაშვილი; ენების ცენტრი - მოწვეული პედაგოგები: მერი გიორგაძე და თინათინ ტაბიძე. წლის პედაგოგებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ფულადი ჯილდო და სერტიფიკატები გადასცა.

იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული პედაგოგი ზურაბ ძლიერიშვილი - 1997 წლიდან დღემდე იურიდიულ ფაკულტეტზე ლექციასემინარებს უძღვება ვალდებულებით სამართალში, სახელშეკრულებო სამართალსა და სამოქალაქო საპროცესო სამართალში. როგორც თავად ლექტორი აცხადებს, მისთვის დიდი პატივია, რომ აქვს შესაძლებლობა გარკვეული წვლილი შეიტანოს სტუდენტების აღზრდა-განათლებაში.

„წარმატებასთან ერთად ჩემთვის ეს ჯილდო უდიდეს პასუხისმგებლობას ნიშნავს.

გაგრძელება მე-3 გვ.

თსუ აბიტურიენტებს მომზადებას სთავაზობს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება 15 ოქტომბრიდან ახალ სასწავლო კურსს განაახლებს - ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების მსურველ აბიტურიენტებს კვლავ ექნებათ შესაძლებლობა გამოცდებისთვის თსუ-ს ლექტორებთან მოემზადონ. უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების მსურველები მომზადებას შეძლებენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები), ასევე საგნებში – მათემატიკა, ზოგადი უნარები, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია. სწავლება 1 ივლისამდე გრძელდება.

გაგრძელება მე-4 გვ.

შემოდგომის ლეგენდა 2014

გვ. 4

თსუ მთავრობის პასუხს ელოდება

17 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნული იყო:

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუთვნილი ქონების გასხვისებამ და უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებთან შეუფერებელი და მიუღებელი საქმიანობის წამოწყებამ, სამწუხაროდ, ტრადიციული სახე მიიღო.

ჩვენი პირველი მიმართვა მთავრობას და საზოგადოებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ქონების გასხვისების შესაძლებლობას ეხებოდა, შემდეგ უნივერსიტეტის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისებაზე და ამ ტერიტორიაზე სასაფლაოს გაშენების პერსპექტივაზე გავაკეთეთ განცხადება. ამჯერად, როგორც ირკვევა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარედ, სადაც ორი სასწავლო კორპუსის გარდა, განთავსებულია ბიბლიოთეკა და უახლოეს პერიოდში სტუდენტთა და მეცნიერთა სახლის აშენება იგეგმება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის თავმოყრის ადგილას გაზგასამართი სადგურის მშენებლობა დაიწყო. გარდა იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება პირდაპირ უკავშირდება ახალგაზრდების უსაფრთხოების ზომების უგულებელყოფას, აფერხებს საუნივერსიტეტო სივრცის განვითარების შესაძლო პროექტებს, ასევე იგნორირებულია უახლოეს წარსულში გამოცხადებული არაერთი საინტერესო ინიციატივა, მათ შორის ახალგაზრდული ცენტრის, კვების ობიექტების მშენებლობაზე, რაც სტუდენტობისთვის განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, სამთავრობო სტრუქტურებმა ეს ინიციატივა შეცვალეს და დღეს სახეზე გვაქვს ავტოტრანსპორტისთვის გაზგასამართი სადგურის მშენებლობის გადაწყვეტილება.

მივმართავთ საქართველოს მთავრობას, ქ. თბილისის საკრებულოს და დედაქალაქის მერიას, მაქსიმალურად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილებები, რათა არ მოხდეს უნივერსიტეტის, საუნივერსიტეტო საზოგადოების, სტუდენტების ინტერესების უგულებელყოფა“.

თსუ რექტორის განცხადების საპასუხოდ თბილისის მერიაში განაცხადეს, რომ დავით ნარმანიას ინიციატივა თსუ მაღლივი კორპუსის მიმდებარედ ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობასთან დაკავშირებით არ გადაიხედება. მერიაში განმარტავენ, რომ ტერიტორია, რომელზეც მშენებლობაა დაგეგმილი, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა. “თბილისის მერია უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს სამინისტროსთან, რათა დროულად მოხდეს აღნიშნული ქონების გადმოცემა. პარალელურად, უკვე დაწყებულია ახალგაზრდული ცენტრის პროექტირებისთვის საჭირო პროცედურები”,- აღნიშნულია დედაქალაქის მერიის განცხადებაში. რაც შეეხება მაღლივ კორპუსთან გაზგასამართი სადგურის მშენებლობის საკითხს, მერიაში ამბობენ, რომ აღნიშნული სტუდენტებისთვის საფრთხის შემცველი არ იქნება. მსგავს პოზიციას იზიარებენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში.

მთავრობის განცხადებას თსუ სტუდენტთა ნაწილმა საპროტესტო გამოსვლით უპასუხა. 23 სექტემბერს სტუდენტები, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაზგასამართი სადგურის მშენებლობას აპროტესტებდნენ, დედაქალაქის მერს, დავით ნარმანიას შეხვდნენ. მათ თბილისის მერისგან მიიღეს დაპირება, რომ ამ საკითხს სამუშაო ჯგუფი შეისწავლის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმედოვნებენ, რომ უნივერსიტეტის პოზიცია უყურადღებოდ არ დარჩება.

ახალი სამაგისტრო პროგრამა უნივერსიტეტში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამაგისტრო პროგრამის „ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები” ღია კარის დღე. ახალი სამაგისტრო პროგრამა „ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები“ ევროკომისიის ტემპუს/ტასისის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თსუ-ში, კავკასიის უნივერსიტეტსა და ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში. ეს ინტერდისციპლინური და ინტერსაუნივერსიტეტო პროგრამა მაგისტრანტებს საშუალებას აძლევს მიიღონ განათლება ერთდროულად სამივე უნივერსიტეტის ბაზაზე. სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიმართულებებია: ეკონომიკის პოლიტიკა, დასაქმების პოლიტიკა საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში, კეთილდღეობის სახელმწიფოს ევროპული მოდელები, შრომითი ურთიერთობები და სოციალური დიალოგი საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში, ევროპის საკანონმდებლო რეგულაციები ადამიანის უფლებათა და შრომით ურთიერთობებში, აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების გამოცდილება ევროკავშირში ინტეგრაციისა და ტრანსფორმაციის თვალსაზრისით,შედარებითი შრომის სამართალი. პროექტის უცხოელი პარტნიორები არიან: ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი (აპლიკანტი), პლოვდივის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ევროპული კოლეჯი, მაგდებურგის უნივერსიტეტი, სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი. მაგისტრანტებს საშუალება ეძლევათ,პროექტის ფინანსური დახმარებით,სამაგისტრო თეზისები მოამზადონ საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში.

რექტორის ანგარიში - საგზოგადოებას

პირველი გვერდიდან

დაიხვეწა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც სუბიექტივიზმს მაქსიმალურად გამორიცხავს;

თსუ ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს 7 ათასზე მეტი წიგნი შეემატა და ეს პროცესი გრძელდება;,

გაიზარდა და განმტკიცდა საერთაშორისო კონტაქტები უცხოეთის წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, გაიზარდა გაცვლითი პროგრამების რიცხვი;

უახლესი ტექნიკით აღიჭურვა და განახლდა ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და მექანიკისა და მოლეკულური ფიზიკის ლაბორატორიები;

უნივერსიტეტში გაიხსნა თანამედროვე მულტიმედია ცენტრი, რაც ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს;

თსუ აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ახალი ფაკულტეტის - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ჩამოყალიბებაზე, რაც ამ მიმართულების შემდგომ განვითარებას მოემსახურება;

თსუ კვლავ ლიდერია სამეცნიერო გრანტების მოიპოვების კუთხით საქართველოში არსებულ კვლევით დაწესებულებებს შორის.

თსუ ჩართულია პროექტში, რომლის ფარგლებშიც სან დიეგოს (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად შეიქმნება საინჟინრო სკოლა და სტუდენტები საქართველოში მიიღებენ ამერიკული ხარისხის განათლებასა და დიპლომს;

დაიგეგმა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის ფაკულტეტთან ინტეგრაცია, რამაც ორივე სტრუქტურის გაძიერება უნდა გამოიწვიოს;

მიმდინარეობს მუშაობა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითრების ახალ გეგმაზე და სხვა.

ყველაფერი აღნიშნულის მიუხედავად, თსუ რექტორი მიიჩნევს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისთვის და განათლების დონის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებისთვის აუცილებელია სახელწიფოს მხრიდან უნივერსიტეტებისთვის პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების გამოყოფა:

„რამდენიმე თვის წინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თსუ სტუდენტებს შეხვედრაზე შეპირდა, რომ უნივერსიტეტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებენ დაფინანსებას. ეს აუცილებელია უნივერსიტეტების განვითარებისთვის. სახელმწიფო უნივერსიტეტებს არ აქვთ პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება. თსუ მხოლოდ სტუდენტების მიერ გადახდილი თანხით არსებობს. ეს კი არასაკმარისია ისეთი ძვირადღირებული დარგების განვითარებისთვის, როგორიცაა ფიზიკა, ქიმია, მედიცინა. თანხა არასაკმარისია სასწავლო კორპუსების გასარემონტებლად, პროფესორთა ხელფასების დიფერენცირების აღმოფხვრისათვის და სხვა მრავალი პრობლემის მოსაგვარებლად. ვიმედოვნებ, რომ უნივერსიტეტების პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსებისთვის საჭირო თანხა ახალ სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება,“- აღნიშნა თსუ რექტორმა ვლადიმერ პაპავამ უნივერსიტეტის დაფინანსების პრობლემაზე საუბრისას.

ახალი სასწავლო წელი და კვლავ მაღალრეიტინგული სტუდენტები - თსუ-ში

პირველი გვერდიდან

ბელი პირველკურსელი სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა. თსუ ლიდერია ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტების რაოდენობითაც.

თსუ რექტორმა ვლადიმერ პაპავამ რექტორის სტიპენდიით დაჯილდოვა 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტი ანი ნაჩხატაშვილი; ჯილდო გადაეცათ სტუდენტების მიერ შერჩეულ 2013-2014 სასწავლო წლის საუკეთესო პედაგოგებს. საკომუნიკაციო კომპანია „მაგთიკომისგან“ თსუ-ში ჩარიცხული ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტი ელენე გაბელაია ერთი წლის განმავლობაში მიიღებს ყოველთვიურ სტიპენდიას; ექვსივე ფაკულტეტის ყველაზე მაღალრეიტინგულ სტუდენტებს თსუ-მ საჩუქრად

გიგა კაკალაშვილი

გიორგი ხანჯალიაშვილი

ნაბო ქაჯაია

ელენე გაბელაია

გადასცა კომპიუტერული ტექნიკა; ხოლო გამომცემლობამ „პალიტრა “ ექვსივე ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტები დაასაჩუქრა წიგნებით და მკითხველთა კლუბის ბარათებით.

კერძოდ, დაჯილდოვდნენ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი - გიგა კაკალაშვილი; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი - გიორგი ხანჯალიაშვილი; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი - ელენე გაბელაია; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი - გვანცა შაორშაძე; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი - გიორგი ჩხეიძე; მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი - ნაზიბროლა ქაჯაია.

გაზეთი „უნივერსიტეტი“ თსუ-ში ჩარიცხულ ყველაზე მაღალრეიტინგულ სტუდენტთა რამდენიმე წარმომადგენელს გაესაუბრა:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა გიგა კაკალაშვილმა დაამთავრა ტრიპ-დელმონტის უმაღლესი სკოლა, (სამხრეთ დაკოტა, აშშ), მაგრამ ატესტატი საქართველოში აიღო - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხის საჯარო სკოლაში. მისი აზრით, თსუ შესაძლებლობების გამოყენების კარგ შანსს მისცემს. ამასთან ერთად, თსუ-ს გაცვლითი პროგრამები დიდი პლუსია. „ველი, რომ ჩემს სფეროს, ეკონომიკას საკმაოდ კარგად ვისწავლი და პერსპექტივა მექნება. მე მინდა ვიყო წარმატებული მოღვაწე ჩემს სფეროში, დღეს კი ეკონომიკაა ჩემი სფერო. დიდი სურვილი მაქვს საზღვარგარეთ განათლების მიღების, ამიტომაც ვუმიზნებ გაცვლით პროგრამებს. ვნახოთ რა მოხდება მომავალში“. - ამბობს იგი.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა გიორგი ხანჯალიაშვილმა ქალაქ თელავის ნომერ პირველი საჯარო სკოლა დაამთავრა; ამბობს, რომ თსუ-ზე არჩევანი იმიტომ შეაჩერეს, რომ, მისი ინფორმაციით, „სამართალი ყველაზე კარგად ჯავახიშვილში ისწავლება, იმიტომ, რომ აქ კარგი ლექტორები ყავთ“. სტუდენტობისგან გიორგი ელის საჭირო განათლების მიღებას, პროფესიონალ იურისტად ჩამოყალიბებას, უამრავი ახალი გამოცდილების მიღებას და, რა თქმა უნდა, გართობას.

„ვფიქრობ თსუ-ს სწორედ ეს შეუძლია მომცეს - რაც მჭირდება (განათლება, გამოცდილება და ა.შ.) მინდა ჩემს სფეროში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი ვიყო.. და კიდევ, თუ შევძელი, ისიც მაქვს იდეაში, რომ ჩვენს ქვეყანაში რამე შევცვალო უკეთესობისკენ. ვფიქრობ ამის მიღწევა იმიტომ შემიძლია, რომ საკმაოდ მონდომებული და ცოტა არ იყოს ჭკვიანიც ვარ“. – ამბობს გიორგი.

მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტმა ნაბო ქაჯაიამ ბათუმის წმ. ანდრია პირველბაკალავრიატის დასრულების შემდგომ სწავლა გავაგრძელო საზღვარგარეთ, ხოლო შემდგომში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების რეალიზება მოვახდინო ჩემს ქვეყანაში“.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი - ელენე გაბელაია თსუ-ში ჩარიცხული ყველაზე მაღალქულიანი სტუდენტია. მან კომაროვის სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და არჩევანი თსუ-ზე სწორედ იმიტომ შეაჩერა, რომ „ის საუკეთესოა“. „უნივერსიტეტი გვაძლევს შესაძლებლობას ავიმაღლოთ ცოდნა, გამოვავლინოთ საკუთარი ნიჭი, გავემგზავროთ გაცვლითი პროგრამებით და მრავალი სხვა; ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ადამიანის ჩამოყალიბებაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ჯერ სკოლას, შემდეგ უნივერსიტეტს. ჩემის აზრით, უმნიშვნელოვანესია, როგორ გარემოში მოხვდები, იმიტომ, რომ ჩვენ ვემსგავსებით საზოგადოებას, გარშემომყოფებს. ვიმედოვნებ, რომ შევიძენ უამრავ ახალ მეგობარს და, რა თქმა უნდა, მივიღებ სასურველ ცოდნას; როგორც ყველა სხვას, მინდა ვიყო წარმატებული. ბანალურად ჟღერს ალბათ, მაგრამ მინდა ისე ვიცხოვრო, რომ ჩემი სახელი ახსოვდეთ. ვფიქრობ შემიძლია ამის მიღწევა, რადგან ყველგან და ყოველთვის ვიბრძვი საკუთარი მიზნების მიღწევისთვის და ჯერჯერობით ეს გამომდის“. – განუცხადა მან გაზეთ „უნივერსიტეტს“.

უნივერსიტეტის წლის პედაგოგები

პირველი გვერდიდან

დიდი მადლობა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს. თუმცა, ვფიქრობ, რომ იურიდიულ ფაკულტეტზე ბევრი ღირსეული პედაგოგია, რომლებიც ასევე იმსახურებენ ამ აღიარებას.“- აღნიშნავს ზურაბ ძლიერიშვილი.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – ასოცირებული პროფესორი ივანე წერეთელი, თავად ვერ პასუხობს კითხვას, თუ რატომ აირჩიეს სტუდენტე-

ბმა საუკეთესო პედაგოგად. ახსნას შედარებით შორეულ წარსულში ეძებს: „შორიდან დავიწყებ. გამიმართლა მასწავლებლებში: სკოლაში მყავდა ორი გამორჩეული მასწავლებელი რუსუდან აბრამიშვილი და გელა დუმბაძე, უნივერსიტეტში ასევე ორი გამორჩეული პედაგოგი: ნინო ჩიქოვანი და ნინო ფირცხალავა (ახლა ისინი ჩემი მეგობრები არიან). ვცდილობ, სტუდენტებთან მოვიქცე სწორედ ისე, როგორც ეს ადამიანები მექცეოდნენ მე, როგორც მოსწავლესა და სტუდენტს. სტუდენტებთან ურთიერთობაში მთავარი ოქროს შუალედის დაცვაა მეგობრობასა და დისტანციას შორის. თითოეულმა მათგანმა უნდა იცოდეს, რომ ზოგადად უნივერსიტეტი და ლექტორი მისთვის არსებობს, უნდა გრძნობდეს, რომ ბოლომდე იხარჯები. ჩემი საუკეთესო პედაგოგად დასახელება ასევე განაპირობა ჩემმა სპეციალობამ. ბოლო რამდენიმე წელია კულტურის კვლევები პოპულარული გახდა. მოგეხსენებათ, დარგი საკმაოდ „ახალგაზრდა“ და საინტერესოა. გუნდი, ვისთან ერთადაც ვმუშაობ, კარგად აწყობლი ორკესტრივითაა – პროფესორი ნინო ჩიქოვანი, ასოცირებული პროფესორი ქეთევან კაკიტელაშვილი, ასისტენტ-პროფესორები მაია ქვრივიშვილი და ირაკლი ჩხაიძე – ჩვენ ერთ ენაზე ვსაუბრობთ, ეს კი სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ისინი სრულიად სხვა, ახალი პარადიგმით ხედავენ იმას, რაც იციან ან არ იციან, რა გარემოშიც ცხოვრობენ – რა არის კულტურა, კონტრკულტურა, სუბკულტურა, ცივილიზაცია, სტერეოტიპი? რა უნდა დაუპირისპირო რასიზმსა და ქსენოფობიას? აინტერესებთ პასუხები ისეთ კითხვებზე, როგორიცაა მაგალითად: რატომ იმოსებიან და იკვებებან ადამიანები სხვადასხვაგვარად, რატომ აქვთ განსხვავებული წარმოდგენები სილამაზეზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, სამართალზე, უსამართლობაზე, თავისუფლებაზე, რატომ აღიქვამენ სხვადასხვანაირად დროს, რომელიც თითქოს ყველგან ერთნაირად გადის. ლექციები აწყობილია კითხვა–პასუხის, კამათის და მსჯელობის ფორმით; გარდა სამეცნიერო ნაშრომებისა, ვიყენებთ აუდიო და ვიდეო მასალას, ფილმებს, სარეკლამო რგოლებს, მუსიკალურ კლიპებს და ასე შემდეგ, ეს კი საინტერესოს ხდის მეცადინეობას. გვაქვს შესაბამისი ბიბლიოთეკა. მოკლედ, წარმატების საფუძვლად ერთ კონკრეტულს ვერაფერს გამოვყოფ, ეს უფრო ზემოთ ჩამოთვლილი ბევრი მიზეზითაა განპირობებული.“

ასისტენტ-პროფესორი ზაზა ხეჩინაშვილი თვლის, რომ სტუდენტები მისი შრომის საუკეთესო შემფასებლები არიან და მათი აზრი ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, როგორც

მასწავლებლისათვის. ამავდროულად, ეს დიდი სტიმულია შემდგომი პედაგოგიური საქმიანობისათვის. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს 2000 წლიდან კითხულობს და ამ ხნის მანძილზე სტუდენტებს ალბათობის თეორიასა და სტატისტიკას ასწავლის ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ეკონომიკისა და ბიზნესის და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე. სწორედ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა აირჩიეს ის საუკეთესო ლექტორად:

„იყო თსუ-ს ლექტორი ნებისმიერი ადამიანისათვის დიდი პატივი და კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობაა. ვალდებული ხარ გააგრძელო ის დიდი სამეცნიერო და პედაგოგიური ტრადიციები, რომლებსაც საფუძველი გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ჩაუყარეს. ძალიან ბევრი უნდა იმუშაო, რათა სტუდენტს დაეხმარო მაქსიმალური ცოდნა დაგროვოს და კონკურენტუნარიანი, წარმატებული ადამიანი გახდეს. ამავე დროს, უნივერსიტეტი ჩემთვის მეორე ოჯახია, ეს უკვე ცხოვრების ლამაზი წესია, ვერ წარმომიდგენია სხვაგან ჩემი თავი“, – ამბობს ზაზა ხეჩინაშვილი.

ენების ცენტრის მოწვეული პედაგოგი მერი (მაია) გიორგაძე თსუ-ში ინგლისური ენის პედაგოგად 2010 წლიდან მუშაობს. ძირითადად ლექციები ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის

სტუდენტებთან აქვს. თუმცა გარკვეული პერიოდი ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებსაც უკითხავდა საშინაო კითხვას. წელს კი დამატებით იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებსაც წაუკითხავს ლექციებს. მისი აზრით, სტუდენტების მიერ ამგვარი დაფასების მიზეზი, პროფესინალიზმთან ერთად, არის ურთიერთობა ლექტორსა და სტუდენტს შორის. „არასოდეს ვიშურებ ჩემს ძალისხმევასა და ენერგიას. ვცდილობ მაქსიმალურად დავიხარჯო ლექციაზე. არასოდეს ვტოვებ სტუდენტს უყურადღებოდ, ყოველთვის მზად ვარ დასახმარებლად და, ამავე დროს, მეგობრული საუბრებითა და დამოკიდებულებით ვახერხებ მათ მოტივირებას. სხვადასხვა ხერხს ვიყენებ იმისათვის, რომ სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი სასწავლო პროცესში, რომ ლექციები არ იყოს რუტინული და მოსაბეზრებელი. იუმორი, მეგობრული დამოკიდებულება, განსაკუთრებით მეხმარება შინაურული, მყუდრო გარემოს შექმნაში. მათაც ხომ ეს მოსწონთ?!“

საუკეთესო პედაგოგად დაასახელეს თსუ-ს სტუდენტებმა ენების ცენტრის კიდევ ერთი **მოწვეული პედაგოგი -თინათინ ტაბიძე,**

რომელიც ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტზე ინგლისურ ენას 2010 წლიდან ასწავლის. მისი აზრით, სტუდენტებმა მეგობრული დამოკიდებულების და პროფესიონალიზმის გამო აღიარეს საუკეთესო პედაგოგად, რაც მისთვის დამატებითი პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა.

ტურიზმის საერთაშორისო სკოლის მოწვეული პედაგოგი თინა დოლიაშვილი 2006 წლიდან დღემდე თსუ-ში ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვას ასწავლის და თვლის, რომ ეს აღიარება იმის გამო მიიღო, რომ სტუდენტები გრძნობენ მათდამი სიყვარულს და პატივისცემას. „ხედავენ, რომ მე ყველაფერ ვაკეთებ იმისათვის, რათა მათ სრულფასოვნად აითვისონ საკმაოდ ძნელი მასალა, წარმატებით ჩააბარონ შუალედური და შემაჯამებელი გამოცდები და, ხშირ შემთხვევაში, აირჩიონ აღრიცხვის მიმართულება სამომავლო პროფესიად.“

მედიცინის ფაკულტეტის პროფესორმა ნანა დორეულმა თსუ-ში მოღვაწეობა ჯერ კიდევ მე-5 კურსის სტუდენტმა, 1984 წლიდან

აკად. ვაჟა ოკუჯავას ლაბორატორიაში დაიწყო. უმაღლესის დამთავრებისთანავე, როგორც ლაბორანტი, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის მიმართულების სტუდენტებს პრაქტიკულ მეცადინეობას უტარებდა. მოსკოვის ტვინის კვლევის ინსტიტუტში საკანდიდატო დისერტაციის შესრულების შემდეგ, როგორც ასისტენტი, შემდეგ კი დოცენტი, ახლა უკვე სრული პროფესორი უნივერსიტეტში რამოდენიმე სასწავლო კურსს ასწავლის: „ნეიროფარმაკოლოგია, ფსიქოფარმაკოლოგიის საფუძვლებით“, „ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია“, „ტვინის სტრუქტურული ორგანიზაცია“, „ქცევის დარღვევის ფიზიოლოგია“, „ელექტროფიზიოლოგია“.

„ეს მთელი ჩემი ცხოვრებაა, მღელვარე, ემოციური, ერთდროულად მძიმეც და სასიამოვნოც. ასე მგონია, ჩემი პროფესიით ყველაზე მეტად ვმონაწილეობ ქვეყნის ცხოვრებაში, ვცდილობ აღვზარდო პროფესიონალები, გადავცე მათ მთელი ჩემი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც პედაგოგიური თუ სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე დამიგროვდა როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრაზე, ისე ნეირობიოლოგიურ ლაბორატორიებში მოსკოვის ტვინის კვლევის ინსტიტუტსა და დიუსელდორფის უნივერსიტეტში,“ - ასე აფასებს საკუთარ მოღვაწეობას ნანა დორეული, რომელიც თვლის, რომ საუკეთესო პედაგოგად არჩევა დიდი პასუხისმგებლობაა :„ძალიან სასიამოვნო გრძნობა დამეუფლა, როცა ეს ინფორმაცია გადმომცეს. ერთია, როცა საკუთარი შვილები გამოხატავენ ჩემს მიმართ სიყვარულს, და სულ სხვაა ამდენი სტუდენტი ამას რომ აცხადებს. ვფიქრობ მკაცრი ლექტორი ვარ, ამას სტუდენტებიც ხშირად მეუბნებიან, მაგრამ სამართლიანადაც იქცევითო -ამასაც აღნიშნავენ. იმედია, კიდევ დიდხანს დავრჩები ბევრი სტუდენტის საუკეთესო პედაგოგად, კიდევ დიდხანს შევძლებ ჩემი პროფესიული გამოცდილებისა და სიყვარულის გაცემას. გაცემა კარგია, რადგან მათგან წამოსული ენერგია ისეთი სასიამოვნოა, რომ წლები მაკლდება და ახალი ენერგიით ვივსები და აბა ვის არ უნდა მუდამ ახალგაზრდა დარჩეს“.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი გიორგი დვალაშვილი თსუ-ში გეოგრაფიის მიმართულებაზე 10 წელია კითხულობს ლექციებს. თუმცა, ბოლო პერიოდში გააქტიურებული სტიქიური მოვლენების ფონზე, კიდევ უფრო აქტუალური გახდა მისი ლექციების კურსი - „საქართველოს სტიქიური პროცესები“, რომლის ცოდნა ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტისათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის საჭი-

რო გახდა. გასულ წელს გიორგი დვალაშვილმა, თსუ სტუდენტებთან ერთად, „კარსტოლოგიის“ საგნის ფარგლებში მეცნიერულად გამოიკვლია მღვიმე ჭიათურაში, რომელსაც სახელი „თსუ–95“ მიანიჭეს. ახალი სახელი დაარქვეს რაჭის ტერიტორიაზე ბოლო საუკუნეებში კლიმატის ცვლილების შედეგად წარმოქმნილ ახალ მყინვარსაც.

თსუ–ს ლექტორობა გიორგი დვალაშვილისთვის ნიშნავს 96 წლიანი წარმატების ღირსეულად გაგრძელებას. „ასევე სტუდენტებისთვის თეორიული ცოდნის მიღების პარალელურად, პრაქტიკული გამოცდილების და გეოგრაფიული კომპონენტების შესწავლა–შეფასების საქმეში აქტიურად ჩართვას; საველე სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში, აგრეთვე თსუ–ს დაფინანსებით მოწყობილ ექსპედიციებში, აქტიურად მიმდინარეობს საქართველოსა და მოსაზღვრე ტერიტორიების გეოგრაფიული და გეოეკოლოგიური კვლევები, რაც შემდომ აისახება სტუდენტების მიერ მომზადებულ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებში, აგრეთვე სასწავლო სახელმძღვანელოებში, სამეცნიერო საერთაშორისო სტატიებსა და მონოგრაფიებში“, - ამბობს გიორგი დვალაშვილი. სტუდენტების მიერ საუკეთესო პედაგოგად აღიარებას გეოგრაფიის მიმრთულებით მის აქტიურ პრაქტიკულ მოღვაწეობას უკავშირებს და თვლის ეს ჯილდო ნიშნავს უფრო მეტ პასუხისმგებლობას თავად სტუდენტების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გეოგრაფიის მეცნიერების მიმართ.

„უნივერსიტეტის ლექტორობა ჩემთვის საამაყოა. ეს ჩემი იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილია. მე ჩვენი უნივერსიტეტი დავამთავრე და როცა შემომთავაზეს უნივერსიტეტში სამუშაოდ მოსვლა (მანამდე ვმუშაობდი დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტში და ა.ს. პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში), დიდი სიხარულით დავთანხმდი. ვფიქრობ, ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი საუკეთესო უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში. აქ მუშაობენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები და გვყავს ძალინ კარგი სტუდენტები“ - ამბობს **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მანანა მელიქიშვილი**, რომელიც თსუ-ში ასწავლის შემდეგ საგნებს: განვითარების ფსიქოლოგია, სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია, ძალადობა ბავშვების მიმართ, კონსტრუქციული ურთიერთობის ჩვევის ჩამოყალიბების ტრენინგი, მოზარდთა პრობლემები და მშობელთა კონსულტირება, ჯგუფური მუშაობის მეთოდები. როგორც თავად აღნიშნავს, უნივერსიტეტის ლექტორობა საამაყოა და მისთვის იდენტობის მნიშ-

ნელოვანი ნაწილია. სტუდენტებისაგან საუკეთესო პედაგოგად აღიარებას კი ასე აფასებს: „სიმართლე გითხრათ, ვამაყობ ”საუკეთესო პედაგოგის წოდებით”, ეს ხომ საუკეთესო უკუკავშირია, რომელიც შეიძლება მიიღო სტუდენტებისგან. შედარებით ადვილია ამ წოდების მიღება, ვიდრე მისი შენარჩუნება. ვეცდები გავამართლო ჩემი სტუდენტების მოლოდინები.“

მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა გამოშვება

14 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა გამოშვების საზეიმო ცერემონია გაიმართა.

ღონისძიებაზე მაგისტრებს თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, თსუ ფაკულტეტების დეკანებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა, ასევე განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებმა მიმართეს.

თსუ რექტორმა კურსდამთავრებულებს მაგისტრის წოდების მინიჭება მიულოცა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის კარი მათთვის ყოველთვის ღია იქნება. „როგორი კარგი კარიერული წინსვლაც არ უნდა გქონდეთ, გახსოვდეთ, რომ დედა უნივერსიტეტი შეუცვლელი დარჩება. ერთი რამ იცოდეთ, უნივერსიტეტის კარი ყველასთვის ყოველთვის ღიაა და პირველ რიგში თქვენთვის. გახსოვდეთ თქვენი პროფესორები, გახსოვდეთ, რომ მათ ყოველთვის გაუხარდებათ თქვენთან კონტაქტი. თქვენს წარმატებას ისინი საკუთარ წარმატებად ჩათვლიან. გაგვიხარდება, თუ დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებას გადაწყვეტთ, რადგან სწორედ დოქტორანტები ქმნიან იმ არმიას, რომელიც არის ჩვენი შემცვლელი, თქვენი დღევანდელი პროფესორების შემცვლელი. მინდა იყოთ წარმატებულები და დღევანდელი დღე, 2014 წლის 14 სექტემბერი დაგამახსოვრდეთ, როგორც ერთი მნიშვნელოვანი დღე თქვენს ცხოვრებაში. დღე იმისა, რომ გეთქვათ არა მშვიდობის, არამედ ნახვამდის უნივერსიტეტო! იმისთვის, რომ თქვენ კვლავ მოხვიდეთ სხვადასხვა რანგში, სხვადასხვა შესაძლებლობით და თქვენი წვლილი შეიტანოთ უნივერსიტეტის განვითარებაში.“ - აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.

მაგისტრის წოდების მინიჭება კურსდამთავრებულებს ყველაზე რეიტინგულმა კურსდამთავრებულმა ნანა შეკიშვილმა მიულოცა. „მაღლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩვენს განათლებაში შეიტანა წვლილი. მინდა ვუთხრა მომავალ თაობებს - გააკეთეთ არჩევანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, გახდით მისი ნაწილი და იარეთ ჩვენთან ერთად!“

2014 წელს თსუ-ს 84 საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა 550-მა სტუდენტმა დაამთავრა.

გრაკლიანის გორაგზე ღია ცის ქვეშ მუგეუმი შეიქმნება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა გრაკლიანის არქეოლოგიური ობიექტი მოინახულეს, რომელსაც ორიოდე დღის წინ ძეგლის სტატუსი მიენიჭა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციტივით, გრაკლიანის გორაზე ღია ცის ქვეშ მუზეუმი შეიქმნება. გრაკლიანის გორაზე პირველი მონაპოვარი 2007 წელს თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის მშენებლობის დროს გამოვლინდა. ადგილზე გამოვლენილია ძვ.წ.აღ.IV-I ათასწლეულით დათარიღებული საცხოვრებელი კომპლექსი, საკულტო ნაგებობები, სამარხები, თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს, რკინის, ვერცხლის და ოქროს ნივთები-საყოფაცხოვრებო და საბრძლო დანიშნულების იარაღები და სამკაულები.

ახალი სახეები.. ახალი სახელები... შენი ხელწერა

მათთვის, ვისაც უყვარს წერა და სურს გახდეს თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნაწილი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია ჯეოსელის ერთობლივი პროექტი - სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“ წელს მეექვსედ ჩატარდება. 6 წლის განმავლობაში კონკურსის ორგანიზატორები დამწყებ მწერლებს სთავაზობენ გამოსცადონ თავიანთი ძალები იმპროვიზაციულ ტურში, სადაც გამოგონილი პერსონაჟების ქაღალდზე გადატანისთვის კომფორტული გარემოა შექმნილი. ყოველწლიურად კონკურსანტებისთვის კახეთის რომელიმე ულამაზეს ადგილს ვირჩევთ, წელს ლეგენდას ილიას მთაზე მდებარე იუსტიციის სახლის ტრენინგ-ცენტრი უმასპინძლებს. ადგილი, რომელიც თანამედროვე დიზაინით და გაშლილი სივრცით გამოირჩევა.

კონკურსში თბილისთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ჩაერთვებიან. მასშტაბების ბრდასთან ერთად ლეგენდა არეალსაც აფართოებს, ლიტერატურის მოყვარულთათვის ჩვენ შებღუდვებს და საზღვრებს ვხსნით – ყველას, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს კონკურსში, შეუძლია ჩაერთოს ლეგენდის იმპროვიზაციული ტურის პარალელურად მიმდინარე ონლაინ მარათონში. ჯეოსელის სპეციალური აპლიკაციის დახმარებით, თქვენ შეძლებთ კონკურსანტებისთვის მიცემულ დავალებაზე თავად შექმნათ ახალი ნაწარმოები სახლიდან გაუსვლელად, შარშანდელი მარათონის გამარჯვებულის მსგავსად, რომელმაც ნაშრომი ქუვეითიდან გამოაგზავნა.

ლეგენდაზე კიდევ ერთი სიახლეა, კახეთში გატარებული ორი დაუვიწყარი დღე დაჯილდოების საღამოთი დასრულდება, რომელზეც ლიტერატურული ჟიური სამ გამარჯვებულს გამოავლენს, მათ ფულადი პრემია გადაეცემათ, ხოლო ლეგენდის ყველა მონაწილე და გულშემატკივარი კი, საუკეთესო ნაწარმოებებისგან შემდგარ ბროშურას მიიღებს.

კახეთში გამგზავრებამდე გელით ყველას კონკურსის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე https://www.facebook.com/tsu.legenda. ერთად დავგეგმოთ ლიტერატურული “უიქენდი” კახეთში.

„ანტიკური კულტურისა და მისი მემკვიდრეობის აქტუალური პრობლემები“

პირველი გვერდიდან

„ჩემთვის ყოველთვის დიდი პატივია უნივერსიტეტის კედლებში დაბრუნება; განსაკუთრებული პატივია ჩემი პროფესორების მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობა. ხაზგასმით მივესალმები იმ მეცნიერებს, რომლებიც აცოცხლებთ, სწავლობთ, აანალიზებთ ანტიკურ პერიოდს, იმ საკითხებს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს თანამედროვეობაზე; გვაჩვენებს როგორ განვვითრდებით ხვალ და უფრო სწორ ნაბიჯებს გადაგვადგმევინებს მომავალში. სწორედ ანტიკური პერიოდიდან მოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულება - თავისუფლების ღირებულება. თავის დროზე, ქრისტიანულმა კულტურამ თავისუფლებით აქცენტირებული ანტიკური კულტურის თავისებურებები გაითვალისწინა. სწორედ ინდივიდის თავისუფლების გაგებამ მოიყვანა საზოგადოება დემოკრატიულ საზოგადოებამდე.“

„უნივერსიტეტი ამაყობს იმით, რომ ასეთი მაღალი რანგის კონფერენციას მასპინძლობს. დღეს მსოფლიო ძალიან ტურბულენტურ მდგომარეობაშია - კატაკლიზმები, კლიმატის ცვლილებები. უნივერსიტეტში კი თითქოს სავანეა, კონფერენცია მუშაობს მარადიულ თემებზე. თემებზე, რომელიც მუდამ აქტუალურია და საფუძველია თანამედროვეობის“,- აღნიშნა თსუ რექტორის მოადგილემ **ლევან ალექსიძემ.**

„სასიამოვნოა, რომ იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტთან ერთობლივი კონფერენციების ტრადიცია აღდგა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დიდ ყურადღებას აქცევს გერმანიასთან ურთიერთობას. ახლახან გაფორმდა ათწლიანი ხელშეკრულება საქართველო-გერმანიის სამეცნიერო ხიდი, რომელიც ქართველი დოქტორანტების გაცვლითი პროგრამებით გერმანიაში სწავლობენ. კვლევა იმისა, რაც იყო წარსულში - ყველაზე კარგად გვაჩვენებს რა არის დღეს და გვიჩვენებს მომავალს,“- განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **გიორგი შარვაშიძემ.**

თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელის **რისმაგ გორდეზიანის** განცხადებით, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება. ეს არის ორ უნივერსიტეტს - იენის უნივერსიტეტსა და თსუ-ს შორის ძალიან კარგი ტრადიციის აღდგენა - საერთაშორისო ერთობლივი კონფერენციები სიძველეთმცოდნეობის დარგში. ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ ჩამოვიდა ამდენი სტუმარი, ამდენმა სპეციალისტმა გამოთქვა სურვილი მიეღო მონაწილეობა კონფერენციაში. გამოჩნდა, რომ ამ პრობლემატიკის კვლევას საქართველოში მხარს უჭერს ხელისუფლება, სამეცნიერო წრეები, ძალიან ფართო სპეციალისტთა წრე, სტუდენტობა და ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს თუ რაოდენ დიდი ცენტრია ამ დარგში თსუ მთელ მსოფლიოში.“

კონფერენცია სამდღიანია, რომელზეც მოხსენებას წაიკითხავს 100-ზე მეტი მკვლევარი საქართველოდან, გერმანიიდან, საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან, აშშ–დან, ბრიტანეთიდან, იტალიიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, ხორვატიიდან, ირანიდან და რუსეთიდან.

კონფერენცია თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტისა და იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის სიძველეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომლობით იმართება. ორი უნივერსიტეტის სიძველეთმცოდნეებმა მიმდინარე წელს აღადგინეს მრავალწლიანი თანამშრომლობის შესანიშნავი ტრადიცია - ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება. ამ ტრადიციას საფუძველი 1966 წელს, ორ უნივერსიტეტს შორის ისტორიული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ჩაეყარა.

კონფერენციებმა მსოფლიოს სამეცნიერო წრეებში დიდი პოპულარობა მოიპოვა და კლასიკური სიძველეთმცოდნეობის სფეროში ერთ–ერთ ყველაზე ავტორიტეტულ სამეცნიერო ფორუმებად იქცა.

1969 წლიდან მოყოლებული, იენასა და თბილისში 9 კონფერენცია გაიმართა. ოცწლიანი პაუზის შემდეგ, მე-10 კონფერენცია წელს თბილისში ტარდება.

თსუ აბიტურიენტებს მომზადებას სთავაზობს

პირველი გვერდიდან

აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება თსუ-ში 1995 წლიდან არსებობს. ამ ხნის მანძილზე რამდენიმე ათასმა აბიტურიენტმა გაიარა სასწავლო კურსი, რომელთა უმეტესობამ წარმატებით ჩააბარა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 2013-2014 წელს 21-მა აბიტურიენტმა გაიარა მოსამზადებელი კურსი და აქედან, 95%-მა ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარა. რამოდენიმე მათგანმა კი სასწავლო გრანტიც მოიპოვა.

როგორც აბიტურიენტთა მომზადების განყოფილების უფროსი, სამართლის დოქტორი ირმა ხარშილაძე აღნიშნავს, აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების მიზანია, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის აბიტურიენტების მომზადება, სასწავლო პროცესის ორგანიზება, მის ეფექტურ შესრულებაზე კონტროლის განხორციელება და შედეგების შემოწმება. ამოცანა კი ერთიანი ეროვნული მისაღები გამოცდების ფარგლებში დადგენილი საგნების სწავლების მეთოდების სრულყოფა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის დირექტივების შემუშავება.

აბიტურიენტთა მომზადების სრულყოფისთვის, მოსამზადებელ განყოფილებაში მიწვეულნი არიან მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც თავად ასწავლიან უმაღლეს სასწავლებლებში. გარდა ამისა, თსუ-ს მოსამზადებელი განყოფილების უპირატესობა, კერძო რეპეტიტორებთან შედარებით, არის ხელმისაწვდომი ფასი და სწავლის საფასურის გადახდის ხელსაყრელი გრაფიკი. ერთ საგნში მომზადებისთვის აბიტურიენტს წელიწადში მხოლოდ 700 ლარის გადახდა მოუწევს.

თუმცა დადგენილია სხვა ფინანსური შეღავათებიც. კერძოდ:

- ორი და მეტი საგნის არჩევის შემთხვევაში, შესაძლებელია თანხის ეტაპობრივი გადახდა;
- სამი საგნის არჩევის შემთხვევაში აბიტურიენტი გადაიხდის სწავლის ღირებულების 95%-ს;
- ოთხი საგნის არჩევის შემთხვევაში აბიტურიენტი გადაიხდის სწავლის ღირებულების 90%-ს;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემთხვევაში აბიტურიენტს უკან უბრუნდება გადახდილი თანხის 10%.

მეცადინეობები ტარდება მინი – ჯგუფებში (5 – 6 აბიტურიენტი).

თითოეულ საგანში მეცადინეობა ტარდება კვირაში 2-ჯერ. ერთი გაკვეთილის ხანგრძლივობა 2 ასტრონომიული საათია. თითოეული საგნის მომზადებას კვირაში ეთმობა 4 ასტრონომიული საათი. სწავლება მიმდინარეობს სამი სემესტრის განმავლობაში. მომზადების ოფიციალურად დაწყებამდე, თითოეულ საგანში ტარდება ტესტირება, რომლის საფუძველზე აბუტურიენტები შესაბამის ჯგუფებში ნაწილდებიან. პირველი და მეორე სემესტრის ბოლოს ყველა საგანში ტარდება შუალედური წერითი გამოცდა, ხოლო სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე კი (მე-3 სემესტრის ბოლოს) მთელ ნაკადთან-ფინალური გამოცდა, რომელიც აბიტურიენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ერთგვარ პრაიმერს წარმოადგენს. თითოეული აბიტურიენტისათვის დგება „ინდივიდუალური წარმატებების ცხრილი“, რის შესახებ პერიოდულად ეცნობება მშობლებს.

გარდა ქართველი აბიტურიენტებისა, აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის აბიტურიენტთა მომზადების განყოფილებაში 2013- 2014 წლის სასწავლო პროგრამაში მომზადებას გადიოდნენ საქართველოში სწავლის მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებისთვისაც ფუნქციონირებდა ქართული და ინგლისური ენების შემსწავლელი კურსები. გასულ სასწავლო წელს თსუ-ს მოსამზადებელი კურსი გაირა 178-მა ერაყელმა, 4-მა აზერბაიჯანელმა და 4-მა თურქმა მსმენელმა. აზერბაიჯანელი და თურქი მსმენელები ეუფლებოდნენ ქართულ ენას, რისთვისაც ფუნქციონირებდა ქართული ენის შემსწავლელთა ერთი ჯგუფი. როგორც ირმა ხარშილაძე აღნიშნავს, ყველა მათგანმა წარმატებით ჩააბარა ქართული ენის გამოცდა და სწავლა გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე.

ერაყის მოქალაქეებისათვის კი, უცხოენოვანი მედიცინის ფაკულტეტზე სწავლების გაგრძელების მიზნით, სამედიცინო ტერმინოლოგიის სპეციფიკის გათვალისწინებით, გაიხსნა ინგლისური ენის მომზადების კურსი. ერაყელი მსმენელების 95% წარმატებით ჩააბარა გამოცდა ინგლისურ ენაში და ჩაირიცხა თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტზე.

თსუ-ს მოსამზადებელ განყოფილებაში უცხოელი მსმენელებისთვის წელსაც მოქმედებს სასწავლო პროგრამა და თურქეთის 8 მოქალაქეს უკვე შეტანილი აქვს განცხადება.

ცოტა ხნის წინ თსუ-ს მოსამზადებელ განყოფილებაში ქართული ენის შესწავლის სურვილი გამოთქვეს რუსეთისა და უკრაინის მოქალაქეებმა. ამიტომ, გადაწყდა გაიხსნას ქართული ენის შემსწავლელი კურსები, რომლის სავარაუდო ღირებულება 800 ლარი იქნება. როგორც ირმა ხარშილაძე ამბობს, ეს ფაქტი საკმაოდ სასიამოვნოა, რადგან რუსებს და უკრაინელებსაც ქართული ენის შესწავლის სურვილი გაუჩნდათ.

გარდა აბიტურიენტების სწავლებისა, უნივერსიტეტში მოსამზადებელი პროგრამა არსებობს მაგისტრანტობის კანდიდატებისათვისაც. 2014 წლის 1 აპრილიდან 30 ივნისამდე მოქმედებდა საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის მომზადების კურსი. ერთიანი სამაგისტრო გამოცდისათვის მოემზადა თსუ–ს 42 და 6 სხვა უმაღლეს სასწავლებელის სტუდენტი. ეს კურსი ითვალისწინებდა ფინანსურ შეღავათს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლების, მათი შვილების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის. მსმენელების 98% წარმატებით ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდა. სამაგისტრო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსი 2015 წლის გაზაფხულიდან კვლავ ამოქმედდება.

უნივესიტეტის აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილების წლევანდელი სიახლეა ის, რომ მოსამზადებელი განყოფილების გახსნა დაგეგმილია რუსთაველშიც. მსურველებს ელექტრონული რეგისტრაცია შეუძლიათ გაიარონ შემდეგ მისამართზე: www.tsu.edu.ge\applikation.

აბიტურიენტთა მომზადების განყოფილების უფროსის ირმა ხარშილაძის თქმით, „ მოსამზადებელმა განყოფილებამ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მაღალ შედეგებს რომ მიაღწიოს, საჭიროა სწავლების პროცესზე კონტროლის განხორციელება. სწორედ ამ მიზნით სისტემატიურად მოწმდება აბიტურიენტების მეცადინეობებზე დასწრება და მათი აკადემიური წარმატებები, რაც პერიოდულად ეცნობებათ მშობლებს“.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge